ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲖᲔᲜᲐᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 51 (20697) — ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲘ, 2 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1990 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კამპანიის ყველაზე დაძაბული სტადია. დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის დამთავრების შემდეგ დაიწყო წინასაარჩევნო ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი — კანდიდატთა შეხვედრა თავიანთ ამომრჩevლებთან, მათი პროგრამების განხილვა, დეპუტატობის მანდატის პრეტენდენტთა პირდაპირი მეტოქეობა.

იმას, როგ ეს ბრძოლა ადვილი არ იქნება, დამაჯერებლად მოწმობს დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის წინასწარი შედეგებიც კი, რომლებიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის 28 თებერვალს გამართულ მორიგ სხდომაზე გამოქვეყნდა. როგორც მისმა თავმჯდომარემ ი. ჟორდანიამ განაცხადა, უკანასკნელ ეტაპზე — შესაძლოა იმის გამო, რომ კონკურსი დიდია, შესაძლოა იმის გამო, რომ ვიღაცას ძალზე ავტორიტეტიანი მეტოქე აღმოაჩნდა, სხვა მიზეზების გამო — 400-მდე დასახელებულმა კანდიდატმა უარი თქვა მომდევნო ბრძოლაზე. ამის შედეგად კი, რეგისტრაციაში გატარებაზე თანხმობა განაცხადა 2.370-ზე მეტმა კაცმა, ესე იგი საშუალოდ რესპუბლიკის მომავალ პარლამენტში თითოეულ ადგილზე ახლა თითქმის რვა კანდიდატი მოდის. მაგრამ ეს ციფრიც ჯერჯერობით პირობითია, რადგან 300 საოლქო საარჩევნო კომისიიდან 26-ს, საბედნიეროდ, დღემდე არ წარუდგენია ცენტრალურ კომისიაში იმ დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის საბოლოო შედეგები, რომლებიც კენჭს იყრიან ამ ოლქებში.

ამავე დროს, უკვე ზუსტად არის ცნობილი, რომ ორი ოლქი აღმოჩნდა უალტერნატივო — თითოეულ მათგანში დარჩა მხოლოდ თითო-თითო კანდიდატი, ორ-ორი ალტერნატიული კანდიდატურაა შვიდ ოლქში, სამ-სამი — რვაში, ოთხ-ოთხი — ოცში, ხუთ-ხუთი — ოცდაშვიდში და ა. შ. მაქსიმალური რიცხვი — დეპუტატობის მანდატის 20 პრეტენდენტი აღრიცხულია მარტო ერთ ოლქში, 19 მეტოქე იბრძოლეს ორ ოლქში. ეროვნული სიტყვით, მოსალოდნელია გააფთრებული ბრძოლა. საგულისხმოა, რომ რეგისტრაციაში გატარებულ კანდიდატთა ყოველი მეოთხე უპარტიოა. მომავალ პარლამენტართა აბსოლუტური უმრავლესობა, რაღა თქმა უნდა, ქართველები. დეპუტატობის მანდატის პრეტენდენტთა შორის არიან ბევრადვე აფაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ებრაელები, ბერძნები, ჩეხოვები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, კერძოდ ომის შესახებ, თუ როგორ გვარდება ადგილებზე დეპუტატობის კანდიდატთა წინასაარჩევნო აგიტაცია, სხდომას მოახსენებს საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებმა: ახმეტის რაიონის № 162 ახმეტისა და № 163 ზემო ალვანისა — უ. ჯაფარიძემ და მ. ყიფლოშვილმა, დუშეთის რაიონის № 137 ერწოსა — გ. წიკლაურმა, სამტრედიის რაიონის № 207 კულაშისა — ი. მახარაძემ.

მათ მიერ აღძრული პრობლემების განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა-ბიჭის რეგისტრაციაში გატარებულ დეპუტატობის კანდიდატთა ფოტოსურათების კლიშეების დასამზადებლად. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ამ გამომცემლობამ ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ გააცხადა, რომ მზად არის ასეთი მომსახურება გაუწიოს ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას.

არჩევნების დღეს საარჩევნო ოლქებისა და უბნების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკეს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. ჩხეიძემ და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ დ. ელანიძემ. საწარმოო სამმართველოს „საქენერგოს“ უფროსის მოადგილემ ზ. აბაშმაძემ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა ქმედებენ საარჩევნო ოლქებისა და უბნების ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის. როგორც აღინიშნა, შესაბამისი სამინისტროები და უწყებანი ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისათვის, რომ წლევანდელმა საარჩევნო კამპანიამ მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩაიაროს. ისევე როგორც კავშირგაბმულობის მუშაკები და პოლიგრაფისტები, ტრანსპორტის მუშაკები და ენერგეტიკოსებიც მზად არიან შეასრულონ საოლქო საარჩევნო კომისიების ყოველი განაცხადი. მაგრამ ძალზე საეჭვოა, რომ ამ კომისიათაგან თითოეულმა დროულად დაამყაროს მათთან კონტაქტები, იზრუნოს არჩევნების დღეს მუშაობის ჯეროვანი პირობების შესაქმნელად, დროულად მოიფიქროს მიმდინარე კამპანიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ყველა საკითხი.

კომისიამ მოისმინა გარდაბნის საბალნო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის ანგარიში არჩევნებისათვის მომზადების მუშაობის შესახებ, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ც. მოსიძემ. განხილვის შედეგების მიხედვით მიღებულია დადგენილება, რომელშიც მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები რაიონული, აგრეთვე შესაბამისი სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებისადმი, საოლქო საარჩევნო კომისიებისადმი, რათა უმოკლეს დროში აღმოფხვრან მთელი წინასაარჩევნო კამპანიის მუშაობაში, ორგანიზაციასა და მოწყობაში გამოვლენილი ნაკლოვანებანი არჩევნების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ზ. კვაჭაძის ინფორმაცია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შესახებ, დაამტკიცეს კომისიის 1990 წლის მარტის სამუშაო გეგმა.

შემდეგ, ჩვეულებისამებრ, კომისია შეუდგა წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზაციასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის გამო მისი მისამართით შემოსული მოკალაქეების წერილებისა და ზეპირი მიმართვების, სარჩივრებისა და განცხადებების განხილვას. კომისიის წევრებმა დაწვრილებით და მომთხოვნელად გააანალიზეს რა არჩევნების შესახებ კანონისაგან გადახვევის თითოეული კონკრეტული ფაქტი, თავის საკონსულტაციო იურიდიულ ჯგუფთან, სხდომაზე მოწვეულ ამხანაგებთან ერთად განსაზღვრეს ადგილებზე დაშვებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრის ოპტიმალური გზები, დასახეს ახალი კანონის განხორციელების საქმეში ყოველგვარ დარღვევათა თავიდან აცილების კონსტრუქციული ღონისძიებანი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ კანონი და მხოლოდ კანონი უნდა იყოს მთავარი არბიტრი ყველა იმ კონფლიქტური სიტუაციისა და სადავო მომენტების დაგადწყვეტაში, რომლებიც წარმოიშობა რესპუბლიკის პარლამენტის ფორმირებისას თვისებრივად ახალი პრინციპებისა და მიდგომების განხორციელების პროცესში.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. ჰაველს საუბარი ჰქონდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტში. აღინიშნა, რომ წინა დღით გამართული სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელთა შეხვედრის შინაარსი, ურთიერთგაგებისა და გულახდილობის ატმოსფერო, რომელშიც მოლაპარაკება მიმდინარეობდა, იძლევა საფუძველს ვიქონიოთ საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვანი ინტენსიფიკაციის იმედი, მით უმეტეს, რომ ორივე სახელმწიფოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესები ხელს უწყობს ამას.

ამავე დღეს გაიმართა სტუმრის შეხვედრა საბჭოთა კულტურის მოღვაწეებთან. საუბარი შეეხებოდა კულტურასა და პოლიტიკას, ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირში ამ სფეროებში მიმდინარე პროცესებს, საზოგადოების ცხოვრებაში ზნეობრივ საწყისებს.

საღამოს დამთავრდა სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტის ორდღიანი სამუშაო ვიზიტი.

აეროპორტში ვ. ჰაველი გააცილეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. ლუკიანოვმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ Ჯ. ᲑᲣᲨᲘᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ

28 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ რეგულარული აზრთა გაზიარების ფარგლებში გაიმართა ჯორჯ ბუშის საუბარი მ. ს. გორბაჩოვთან ტელეფონით. განიხილეს ზოგიერთი აქტუალური საერთაშორისო საკითხი, მათ შორის — ნაკარაგუაში ამსაზღვნანდელი არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული მდგომარეობა, ევროპის უშიშროების პრობლემები, კერძოდ მისი გერმანული ასპექტი. შეეხნენ აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲘᲛᲘᲗ შორის, ვინც დაასახელეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად არიან:

საქართველოს ტელევიზიის კორესპონდენტი **ნანა შოთის ასული ნოდელიაშვილი** — ზესტაფონის რაიონის ტაბაკინის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

პენსიონერი **ოთარ სერგოს ძე ბუმბერიძე** — ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის ბუდაპეშტის ქუჩის № 5-ა, 7, 9, 11 და 22 და კანდელაკის ქუჩის № 14, 16 სახლებში მცხოვრები ამომრჩevლებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი **ვალერიან ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე** — საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებისაგან.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტერიტორიულ-დარგობრივი გაერთიანების ბალანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განაფილების უფროსის მოადგილე **რევაზ ივანეს ძე თოდრია** ქალაქ ფოთის № 243 რუსთაველის საარჩევნო ოლქის ამომრჩevლებისაგან.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ოთარ მელქაძემ მიიღო „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც სათავეში უდგას გამგეობის მუდმივი წევრი, საზოგადოების კულტურული კომისიის თავმჯდომარის მოადგილე იაბანა ჰიკი. სტუმრები ჩამოვიდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით მიმდინარე წელს იაპონიაში საქართველოს კულტურის დღეების და ჩვენს რესპუბლიკაში იაპონიის დღეების მოწყობასთან დაკავშირებით მოლაპარაკებისათვის.

ოთარ მელქაძემ კმაყოფილება გამოთქვა საქართველოსა და იაპონიას შორის სხვადასხვა სფეროში მზარდი კონტაქტების, რესპუბლიკასთან საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განმტკიცებისადმი ამომავალი მზის ქვეყნის საქმიანი წრეების მზარდი ინტერესის გამო.

საუბრის დროს მადლობა გადაუხადეს სტუმრებს თავიანთ სამშობლოში ქართული კულტურის პროპაგანდაში დიდი წვლილისათვის.

იაბანა ჰიკიმ და დელეგაციის წევრმა, „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების ჰოკაიდოს განყოფილების თავმჯდომარემ, ქალაქ ჰოკაიდოს უნივერსიტეტის პროფესორმა ჰამადა კეიიტამ აღნიშნეს, რომ იაპონიის საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს საქართველოს კულტურის დღეებისადმი. ჩვენთან დიდი წარმატებით ჩაიარა თქვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ანსამბლის, კერძოდ, „რუსთაველის“ და სხვა ანსამბლების გამოსვლებმა. მათ თქვეს, რომ დღეების პროგრამით გათვალისწინებული არა მარტო მხატვრული კოლექტივების გამოსვლები, არამედ ქართველ მხატვართა ნაწარმოებების გამოფენები, შეხვედრები მერიებში, ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან და ა. შ.

რესპუბლიკის ცხოვრების გაცნობისას, იაპონიის დელეგაციის წევრები შეხვდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების აქტივს, დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, იმოგზაურეს მცხეთასა და ბათუმში.

* * *

27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ მიიღო თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწენი — ბანკების საერთაშორისო კორპორაციის თავმჯდომარე, დასავლეთ გერმანიის უდიდესი საქველმოქმედო ორგანიზაციის პრეზიდენტი ვილჰელმ ერნსტ ბარკოფი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და ქალბატონი მარგიტ ენგელი (ნორვეგია). მათ დიდი წვლილი შეაქვთ ქველმოქმედების, მოწყალებისა და ჰუმანიზმისათვის ევროპის მოძრაობის განვითარებაში. სტუმრები საქართველოში ჩამოვიდნენ აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის სახელობის ასოციაცია „მეგზურის“ მოწვევით, რომლის მიზანია დაეხმაროს ფსიქიკური თავისებურებების მქონე ბავშვებსა და მოზარდებს.

ნოდარ ჭითანავამ მაღალი შეფასება მისცა სტუმრების ჰუმანურ საქმიანობას, რომლებმაც იცისრეს ბუნებით დაჩაგრული ადამიანების დახმარების დიდი მისია, ადამიანებისა, რომლებსაც განსაკუთრებით სჭირდებათ ყურადღება და გულმოწყალება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა ყოველმხრივ შეუწყობს ხელს „მეგზურის“ ასოციაციასთან სტუმრების თანამშრომლობის განვითარებას.

საუბრის დროს განიხილეს საზღვარგარეთის ორგანიზაციების გამოცდილების გამოყენებისა და ფსიქიკური თავისებურებების მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობისათვის კადრების მომზადების საქმეში საზღვარგარეთის ორგანიზაციების გამოცდილების გამოყენებისა და უშუალო მონაწილეობის, რესპუბლიკაში მათთვის მშენებლობის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში ნიადაგის დამუშავებისა და მოსავლის მიღების ბიოდინამიკური მეთოდების ფართო დანერგვის შესაძლებლობანი, რადგან, როგორც სტუმრებს მიაჩნიათ, ქიმიური სასუქისა და ჰერბიციდების გამოყენება დიდად უწყობს ხელს ანომალიური ბავშვების გაჩენას.

განხილეს აგრეთვე რესპუბლიკის ორგანიზაციებთან და საწარმოებთან, უწინარეს ყოვლისა ასოციაცია „მეგზურთან“ ვილჰელმ ბარკოფის კორპორაციის სამრეწველო-ეკონომიკური ურთიერთობის პერსპექტივები, ამ ასოციაციასთან სპეციალური კომერციული ბანკის შექმნის და შემდგომში ბანკების საერთაშორისო კორპორაციაში მისი შესვლის შესაძლებლობები.

საუბარში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების გამგე ნოდარ კომახიძე, ასოციაცია „მეგზურის“ საპატიო პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკო ჭავჭავაძე, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი, ფსიქოლოგი ნანა ყიფიანი, ასოციაციის გამგეობის წევრები: კინორეჟისორი ლანა ღოღობერიძე, პროფესორები ალექსანდრე ჯავახიშვილი და გურამ რამიშვილი, რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ელდარ შენგელაია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის დირექტორი ვახტანგ ესვანჯია.

სტუმრები ეწვივნენ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. ისინი შეხვდნენ ასოციაცია „მეგზურის“ გამგეობის წევრებს, იყვნენ თელავის რაიონში, „საუბრნენ სოფლის მეცხოვრეებთ, რაიონის ხელმძღვანელებს. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲫᲘᲔᲑᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ

ᲨᲣᲨᲐ. (ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ), 28 თებერვალი. (**ᲐᲖᲔᲠᲘᲜᲤᲝᲠᲛ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠ.**). დაძაბულობის კიდევ ერთი კერა მოაკლდა მთიან ყარაბაღს. იგი დღეს მოსპეს ოპერაციის დროს, რომელიც მოაწყვეს არმიის ქვედანაყოფების დამხმარებით სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-საგამძიებო ჯგუფის თანამშრომლებმა, რომლებიც მივლინებული არიან საგანგებო წესების რაიონში.

ოპერაცია დაიწყო შუშის რაიონის კიროვის სახელობის სოფელში. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ეს დასახლებული პუნქტი ამ ცოტა ხნის წინათ ექსტრემისტთა თავისებური ბაზა იყო. და თუმცა ისინი იქ არ აღმოჩნდნენ, მილიციამ და სამხედროებმა საკმარისი რაოდენობის დამამტკიცებელი საბუთი ნახეს იმისა, რომ ისინი დიდხანს იმყოფებოდნენ აქ. თოფები და შაშხანები, საბრძოლო და თვითნაკეთი ხელყუმბარები, ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმები და ასაფეთქებელი ნივთიერებანი — ეი, არსენალის არასრული ნუსხა.

— იარაღი და ტყვია-წამალი ინახებოდა თავის ქვეშ, მიგდებული საცხოვრებელი ნაგებობების სარდაფებში, — უთხრა აზერინფორმის კორესპონდენტს ოქმის შედგენისა და შეიარაღების აღწერის შემდეგვე ოპერატიული ჯგუფის გამომძიებელმა ვალერი კადიროვმა, ბელორუსიის სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა. — ნაპოვნია აგრეთვე ოთხი გადასატანი მოკლეტალღიანი რადიოსადგური, სამამულო და უცხოური ფორმის ტანსაცმლის ათობით კომპლექტი, თბილი საცვლების მარაგი, ჯარისკაცის ჩექმები.

იარაღისა და ტყვია-წამლის აღმოჩენის ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. იგი წარმოებისათვის შეიღეს პროკურატურამ და საოლქო ცენტრის შინაგან საქმეთა სამმართველომ. გამძიებების დროს უნდა უპასუხონ ასეთ კითხვაზეც: როგორ მოხდა, რომ ასაფეთქებელ ნივთიერებასთან და ხელყუმბარებთან ერთად აღმოჩნდა ღიძალი კარაქი, შაქარი, ფქვილი, სხვა პროდუქტები, რომლებიც, ადგილობრივ მცხოვრებთა მტკიცებით, დიდი ხანია უკვე აღარავის უნახავს სოფლის მაღაზიის დახლებზე? ოპერაციის დროს ამოღებული ეს სურსათი მიტანილია სტეფანაკერტში შეიარაღებასთან, საძიებელ მორგებთან, ტერისტულ კარვებთან, ბავშვებისა და მოზრდილებისათვის განკუთვნილ სხვადასხვა სამრეწველო საქონელთან ერთად დიდი ტვირთამწეობის სამი სამხედრო მანქანით. ყველაფერი ეს, იარაღისა და ტყვია-წამლის გარდა, გულმოდგინე ექსპერტიზის შემდეგ, ალბათ, გაიყიდება სავაჭრო ქსელის მეშვეობით.

ე. პრიმაკოვი: პრეზიდენტის საკითხი მომწიფდა

ბარდაქმნა ქვეყანაში თანაბრად არ მიმდინარეობს: საჯაროობისა და დემოკრატიის აშკარა მიღწევებს, სამწუხაროდ, ახლავს არაბაკლებ საგრძნობი წარუმატებლობანი ეკონომიკაში, სამომხმარებლო ბაზრის მოშლა, ორგანიზებული დანაშაულობის გაჩენა. ეროვნებათაშორისი კონფლიქტები და სპარატულები ტენდენციები გადაიქცა მრისხანე საფრთხედ საბჭოთა ფედერაციისათვის. სულ უფრო ცხადი ხდება იმის საჭიროება, რომ მტკიცედ შემოვაბრუნოთ მოვლენების მსვლელობა კანონიერებისაკენ, წესრიგისა და ორგანიზებულობისაკენ. მაგრამ ამის გაკეთება იმით არის ძნელი, რომ სარეველებთან მტკიცე ბრძოლაში, რომლებიც ახჩრობს დემოკრატიის აღმონაცენებს, არ შეიძლება მივმართოთ არასამართლებრივი, ანტიკონსტიტუციური მოქმედების პრეპარატებს, — თორემ შეიძლება ჯანსაღი ყლორტებიც დავღუპოთ.

ამ ბოლო დღეებში ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო განხილვის საგანი გახდა წინადადება მმართველობის საპრეზიდენტო ფორმაზე გადასვლის შესახებ, რომელიც მოწოდებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ, მრავალი თვალსაზრისით უპრეცედენტო პლენუმზე. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად პოლიტიკური მექანიზმის ესოდენ რადიკალური ცვლილების იდეა შეფასებულია როგორც გარდაუვალი და დემოკრატიული, დიდი ხანია მომწიფებული ღონისძიება, რომელიც საყოველთაოდ მიღებული და დადასტურებულია მსოფლიო პრაქტიკით.

მაგრამ არის სხვაგვარი მსჯელობაც. მაგალითად, ამერიკის „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა მასალა, რომელშიც იმოწმებს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს ზოგიერთი წევრის აზრს და ეუბნება გამოთქვამს, მიზანშეწონილი და დროულია თუ არა სსრ კავშირში პრეზიდენტის პოსტის შექმნა. ამასთან დაკავშირებით საკდესის კორესპონდენტმა ა. ორლოვმა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის „ანდიდატს ე. ბ. პრიმაკოვს სთხოვა გაეზიარებინა თავისი თვალსაზრისი ამ საკითხზე.

— უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოგიტყდეთ, მიჭირს პოლემიკა უზენაეს საბჭოში ჩემს კოლეგებთან, რადგან არ მქონდა შესაძლებლობა გავცნობოდი პუბლიკაციას, რომელიც თქვენ დაიმოწმეთ. შემიძლია მხოლოდ გამოვთქვა საკუთარი აზრი პრობლემის არსზე. მე მგონი, ეს საკითხი არათუ მომწიფდა, არამედ, თუ გნებავთ, გადამწიფდა კიდეც. და მმართველობის რაღაც ფორმის აუცილებლობას ახალი ამწუთიერი, მით უმეტეს კონიუნქტურული მოსაზრებები როდი გვიკარნახებს. პრეზიდენტის ინსტიტუტის შექმნა და ქვეყნის ძირითად კანონში შესაბამისი შესწორებების შეტანა ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული ცვლილებების პროცესის ლოგიკური შედეგია, მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლა, რომელიც პრაქტიკულად გამოცხადებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე მიღებულ პლატფორმაში, მოითხოვს ადეკვატურ ცვლილებებს ქვეყნის სახელმწიფო სტრუქტურაშიც. ამ ბოლო დრომდე ხომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ვიყოთ გულახდილნი, არათუ განსაზღვრავდა სტრატეგიულ ამოცანებს (პარტია, როგორც ჩანს, პოლიტიკას შემდგომშიც შეიმუშავებს), არამედ ოპერატიულად ხელმძღვანელობდა ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებას. ახლა, როცა სიტუაცია ძირფესვიანად იცვლება, პარტია ცვლის თავისი მუშაობის ფორმებს. და იმისათვის, რომ არ შესუსტდეს სახელმწიფო წესრიგი დაშვებული არ იყოს უხელისუფლებიანობა, რომელიც დამღუპველია გარდაქმნისათვის, საჭიროა ახალი ძალიერი ინსტიტუტი, რომელსაც უნარი შესწევს იკისროს სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები, თვალი გადაეგნოს იმის, რომ პარლამენტის მიერ მიღებული ახალი კანონები განუხრელად სრულდებოდეს.

იმაში, რომ ასეთი ცენტრი აუცილებელია, გვარწმუნებს თვით უზენაესი საბჭოს მუშაობაც; თავდაპირველი კანონმშემქმედებითი „ეიფორია", პარლამენტის ფეტიშიზაციაც კი, ადგილს უფამოს უფრო დარბაისლურ მიდგომას, იმ ფაქტის გაგებას, რომ კანონების მიღება ცოტას ნიშნავს, საჭიროა მათი შესრულება. მათგან მრავალი, იგივე უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი იჯარის შესახებ, შორს არის ხორცშესხმისგან. საჭიროა ინსტიტუტი, რომელსაც როგორც კანონების, ისე სტრატეგიული ხელმძღვანელობის განხორციელების უნარიც შესწევს. ჩემთვის ცხადია, რომ ასეთი ორგანო შეიძლება გახდეს მხოლოდ პრეზიდენტის მმართველობა, რომელიც ძალზე ძლიერი უნდა იყოს,

ამ დროს ფუნქციების არავითარი აღრევა არ მოხდება, რადგან ჩვენ შევინარჩუნებთ ძლიერ, ხაზს ვუსვამ, ძლიერ და დამოუკიდებელ უზენაეს საბჭოს თავისი თავმჯდომარით, რომელიც მთავარ ყურადღებას უთმობს საბჭოთა პარლამენტის მუშაობის ეფექტიანობის ზრდის საკითხებს. ასეთი აუცილებლობაც იგრძნობა.

ამავე დროს ხელისუფლების ახალი ინსტიტუტის შექმნას მიმდინარე მომენტიც მოითხოვს, ქვეყანას არაუეს ეთნიკური კონფლიქტები, ეკონომიკაში სამეფნი სულაც არ მიდის ისე, როგორც სასურველია, დისციპლინა ქვეითდება, სამაგიეროდ სეპარატულად იძალა დამნაშავეობამ. ასეთ პირობებში სავსებით ნათელია—და ეს მარტო ჩემი კი არა, უმაღლეს საბჭოში, პარტიაში, აკადემიის წრეებში მრავალი ჩემი კოლეგის აზრია, — რომ პრეზიდენტის ამ გარემოებათა გათვალისწინებითაც უნდა ჰქონდეს საკმაოდ ძლიერი ძალაუფლება. თორემ არ ღირს დავდარღვის ატეხა. იმისათვის, რომ დემოკრატია ვითარდებოდეს, მას სჭირდება დაცვა კანონის მხრივ. ნამდვილი კანონი, რომელიც სავალდებულო უნდა იყოს ყველასათვის, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობით დაწყებული და მოქალაქეებით დამთავრებული. კანონის ბანერი დაცვის უზრუნველყოფა პრეზიდენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. ამასთან დაკავშირებით, ჩემი აზრით, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გადაწყვიტოს ნებისმიერი თანამდებობის პირის შეცვლის საკითხი.

— არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით არ მოვიყვანო არგუმენტი, რომელსაც ხშირად იყენებენ ახალი იდეის კრიტიკოსები. ხომ არ გამოიწვევს ერთი ადამიანისათვის ესოდენ ფართო უფლებამოსილების მინიჭება ერთპიროვნული ძალაუფლების გაძლიერებას, თუნდაც ისეთი დემოკრატიული ხელმძღვანელების ხელში, როგორიც ბ. ს. გორბაჩოვია?

— საზოგადოების აყვავებას—ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული — უზრუნველყოფს დემოკრატიულ სისტემა. ეს ერთადერთი გზა, ეს ერთადერთი ინსტიტუტი, ეს ერთადერთი ადგილი, სადაც ადამიანებს ეძლევა ინიციატივა, ეძლევა ინიციატივის უფლება. ეს ერთადერთი ადგილია, სადაც ადამიანებს

მამულიშვილობა

ხუროთმოძღვარი კლდიაშვილთა საგვარეულოდან



სიმონ გრიგოლის ძე კლდიაშვილი იმ დიდი ქართული ოჯახის შვილია, „რომლის დედაბოძიც ეფროსინე ყიფიანი-კლდიაშვილი იყო, დიმიტრი ყიფიანის ძმისწული, ცნობილი თეატრალური მოღვაწე; ქუთაისელ სეენსმოყვარეთა სულის ჩამდგმელი 60-70-იან წლებში, მერე კი პროფესიული თეატრის პირველი ამღოლი-ბელადი. ამ ღირსეული მამაფილოსნის გვარი მოგვარაყებული ასოებითაა ამოტეიფრული ქუთაისის ძველი თეატრის სამხატვრის კედელზე. ეს ის შენობაა, რომელშიც უკვე 1880-იანი წლებიდან დაბინავდა ქუთაისის ქართული დრამატული თეატრი; აკაკი წერეთელი იწყება ეს სია, მას მოსდევს დ. ბაქრაძე და მესამე ეფროსინე კლდიაშვილია (1839-1913); შემდეგ მთელი პლეადა გამოჩენილი მოღვაწეებისა: ა. და ლორთქიფანიძეები, კ. და ძ. ბესიები, ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ნ. ჩხეიძე, შ. დადიანი ვ. გუნია, კ. მარჯანიშვილი, სია გრძელია, — მაგრამ თვით სია აკაკი წერეთელი აღიარებდა ეფრო კლდიაშვილის პირველობას ქუთაისის თეატრის ფეხის ადგმის საქმეში, მეტიც: „ძალდაუტანებლად თავისთავად პირველად ქუთაისში დაარსდა ქართული თეატრი (იგულისხმება XIX საუკუნის II ნახევარი) და უფხადგმული გადავიდა ტფილისში, სადაც საქმე უფრო მოსანერხებელი იყო.“.

გარდა 1913 წელს (გაზეთი „დილა“, № 7, 12. III) გამოთქმული ამ აზრისა, აკაკი სხვა დროსაც არაერთხელ მოიხსენებს ეფრო კლდიაშვილის ღვაწლს დიდი მოწიწებითა და კეთილი, ბრესაც კი უზიარებს ქართული თეატრისადმი თბილისელი ქალების ზრილე დამოკიდებულების გამო და ეს ხდება არა ერთო მიმოწერაში, არამედ გაზეთ „დროების“ მეოხებით, რომლის 1875 წლის 18 მაისის № 56-ში პირველ გვერდზეა დაბეჭდილი „წერილი ეფროსინა კლდიაშვილისადმი“. „...მაგრამ მადლობა ღმერთს, იმედი არ გვქონია სრულიად დაკარგული, მაშინ როდესაც თუ ამერიკაში ვერა, იმერეთში მაინც ეხილავთ საზოგადო საქმისათვის თავგამოდებულებს როგორც ვაქებს, ისე ქალებსაც და მათ რიცხვში პირველად თქვენ... ვისურვებთ ერთად თქვენს კეთილდღეობასთან იმასაც, რომ თქვენი მიხედვით სხვებიც გამოსულიყვნენ საზოგადო ასპარეზზედ“.

აი, ასეთ სამაგალითო ქალად მიაჩნდათ ეფრო, რომლის შესახებაც მაკო საფაროვა-აბაშიძე ამბობდა თურმე: მარტო კარგი მსახიობი კი არა, მაგისთანა სარისტიანი ქალი არ იყოო! სარისტიანი, ანუ საქმის წამომწყებიც და თავისდამდგმელიც, დამაგვირგვინებელი როგორც ქალაქში, ასევე სოფლად, იქნებოდა ეს მშობლიური ქვეშხეთი თუ ქმრისეული სიმონეთი.

ეს რომ ასე იყო, დავით კლდიაშვილიც გვიმოწმებს „მემუარებში“. — სიმონეთელსაც განსხვავებულად უყვარდათო გრიგოლ კლდიაშვილისა და ეფრო ყიფიანის ქალის ოჯახი (გვ. 171, თბილისი, 1961 წ.), და მადლიერებით დასძენს:

„ბავშვობიდანვე ვუყვარდი ბიცოლა ეფროს, მის მრავალ შვილებს შორის მეც მჭონდა სასიყვარულო კუნჭული...“.

ამიტომაც მიუხაროდა ყოველთვის დავითს ამ ოჯახში ქუთაისსა თუ თბილისში, სადაც კლდიაშვილები მოგვიანოდ გადასახლდნენ, იქ ეგულებოდა თავის თანამოაზრეები და უპირველესად სიმონი და მარიამი (ძნელაძისა), ერთი ხუროთმოძღვარი იყო, მეორე კი მომღერალი („პირველი ქართველი მომღერალი, კონსერვატორია დასრულებული ქალი, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მუსიკის განვითარების საქმეში“). მარიამს არც ასული ჩამოუვარდა — თამარ ძნელაძე პირველ ქართველ მეგობოლონე. ქალად არის ცნობილი.

ეფრ სიმონ კლდიაშვილს, ქართული უნივერსიტეტის აღმშენებელს დაბადების 125 წლისთავი შეუსრულდა. მაგრამ რაკი ოჯახური ბრიტრეტის მოხაზვა დაგვისახეთ მიზნად, იმ სურათის გაცოცხლებაც გამართლებული იქნება, ყიფიანთა მეტოს ჩამომავლის, ცნობილი მწერალმბერი ქალის თამარ მაჭავარიანის წყალობით რომ მოხვდა ჩემს ხელთ ჯერ კიდევ ეფრო კლდიაშვილის შესახებ მონოგრაფიულ ნარკვევზე მუშაობისას და პირველად იმავ წიგნში გამოქვეყნდა (1958 წ. თბილისი, „ხელოვნება“).

აი ჩიტ-ეიკოვიანი მანდილოსანი თავისი ოთხი ეაეიშვილით — „შესამჩნევი ქართველი ქალი“ (როგორც ამკობს დ. კლდიაშვილი), რომელმაც თავის ერთგულ მეუღლესთან ერთად რვა შვილი გაზარდა, მათ დავაქკაცებასა და დაქალებას, მათ სასიკეთო საქმიანობას მოესწრო, მაგრამ ცხოვრებამ სიტკბოზე მეტი სიმწარე არგუნა თერმეტი შვილის დედას... ჯერ სამი პატარა გამოაცალა ხელიდან, მერე მეუღლე — გრიგოლ კლდიაშვილი, რომელიც სამხედრო სამსახურის შემდეგ სამოქალაქოში გამაწესეს ზემო სვანეთში, მაგრამ დასიულებული 1879 წელს ცოცხალ-მკვდარი ჩაუყვანიათ ქუთაისში, სადაც მალე გარდაცვლილა...

უფროსი ვაჟი ლუარსაბი ბაბუის, სამეგრელოს მთავრის დავით დადიანის მდივნის მოსახელე: ქუთაისის გიმნაზიაში შესვლამდე მას დედამ შეასწავლა წერა-კითხვა, და არა მარტო დედაენის, უცხო ენებისადმი სიყვარულიც მანვე გაუღვივა, რაც შემდეგ ლუარსაბმა დამოუკიდებლად გაასრულა და ჩინებული მოსაუბრე თავისუფლად ათმეცდა თავს თარეიმნობას. მისი დის — ანასტასიას მოგონების მიხედვით, მათ ოჯახში და-ძმა უორდროპების სტუმრობისას ლუარსაბი თარეიმნობდა.



...„რამდენი სიკვდილი! რამდენი უმანკო მსხვერპლი! საბა კლდიაშვილი!... ილიკო ხერსელი!.. აქ კი? საბრალო თეოფილ შველიძე!.. ვასო ალშბაია!“.

ნატყვიარევით ანია ვალერიან გუნიას დღიურს ეს ამბავი, 1905 წელს რომ ჩაუწერია თავის „ფიქრებსა და შენიშვნებში“ (ინახება მემორიალურ ბინა-მუზეუმში, ტაბიძის ქ № 24).

...რამდენი სიკვდილი, რამდენი ცრემლი... დედამ დაკარგა კიდევ ერთი ნუგეში, თავისი სახელოვანი და „ზნოიანი“ ბიჭი, რომლის დაკრძალვა სახალხო გლოვად და დემონსტრაციად გადაიქცა. ოდესდან იგი ბათუმში ჩამოასვენეს, ბათუმიდან კი ქუთაისში და ყოველივე ეს. დიდი თანაგრძნობით აქვს აღწერილი დავით კლდიაშვილს, რომელიც ახლდა პროცესიას და კინალამ შეიწირა მისი კარიერა და სიცოცხლეც — ამ ამბით გააფთრებულმა გენერალმა გრიაზნოვმა იგი თურმე დღეტატაში გაამწესა, რაც მაშინ თითქმის სიკვდილს უდრიდა, მაგრამ ნინომ (ნუცამ) კი თბილისის საბებია კურსები რომ დაამთავრა, დავით ამაშიძეზე გათხოვდა, მისი ვაჟიშვილი ივანე (ვანიკო) ამაშიძე თეატრის გზას გაყვა, მერე კი შვილიშვილიც — დოდო ამაშიძე, რომელსაც ახლახან დიდი სინანულით გამოეთხოვა საზოგადოება, ნინო ანდრონიკაშვილი, ცნობილი მსახიობი ქალი, ვანიკო ამაშიძის მეუღლე სასოებით იგონებდა დედამთილს: — ნუციკო წმინდანი იყო... და ქალიშვილის დახასიათებით ეფროს სახეც უფრო ნათლად გამოიხატა ჩემს წარმოსახვაში.

1900 წლიდან ეფრო მ. დემურიას მიერ დაარსებულ ქართველ ქალთა ამხანაგობის წევრი ხდება, მონაწილეობს ქართული ხალხური ზღაპრების გამოცემაში, ჟურნალ „ჯეჯილშიც“ თანამშრომლობს, მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა.

საბას სიკვდილმა იგი ძალზე მოტეხა. 1913 წელს გარდაიცვალა, საზრუნაი კი სიცოცხლის ბოლომდე არ დალეულა — სოფელ სმორნეთის წმინდა გიორგის ეკლესიის შეკეთება, სასოფლო ბიბლიოთეკის გახსნა მისი თაოსნობით მოხდა — ამ საქმეში მას სიმონი ედგა მხარში, სიმონმა შეაწია ხელი და თანხა ძველი ეკლესიის გადახურვასაც (მარსელის ფირმის კრამიტიც მაშინდელია) და პირველი ბიბლიოთეკის გახსნასაც, გრიგოლისეული სახლის ახლოს. ეს ბიბლიოთეკა საბას საახელზე დააარსეს. საბალხო საქმის კეთება მათ დედა-შვილობაში ჩვეული ამბავი იყო, თუნდაც დაწყებითი სკოლის დაარსება, საოჯახო-წარმოდგენების გამართვა.

სიმონი... 1895 წელს დაამთავრა რა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელი დიდი ვერცხლის მედლით, ცოტა ხანს კოსტროომის გუბერნიაში იმუშავა, ხოლო 1896-99 წლებში სოხუმშია ქალაქის არქიტექტორად. სიმონ კლდიაშვილის მოღვაწეობას ღირსეული პატივი მიაგო აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ ჯერ 1948 წელს დაბეჭდილ სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომებში, შემდეგ უკვე კაპიტალურ ნაშრომში „თბილისის ხუროთმოძღვრება“ (ტ-2 ტომი, 1963 წ.).

როგორც კი ქართულ ინტელიგენციაში გაღვივდა საგანმანათლებლო კერის აშენების სურვილი, ცნობილმა მოღვაწემ ნიკო ცხვედაძემ ამ საქმის მინდობა სიმონ კლდიაშვილისათვის განიზრახა და შინაე ჩვეული მამულიშვილური გრძნობით მოჰკიდა ხელი „ქართული გიმნაზიის პროექტის შედგენას, რომელიც თავიდანვე უნივერსიტეტად იყო ჩაფიქრებული. სანაქებოდ გაართვა სიმონმა თავი ამ საშვილიშვილო საქმეს, შენებლობასაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. იგი კლასიკური ხუროთმოძღვრული გზის მომდევარია — ცოდნის ტაძარი დღესაც გამოირჩევა თავისი აღნაგობით და თუმცა სიმონ კლდიაშვილს თბილისში სხვა ნაგებობებიც ეკუთვნის, მისი სახელი ჩვენთვის სწორედაც ქართულ უნივერსიტეტთანაა გაიგივებული. სიმონის ეს ამბავი ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს ბეჯითად, მისი სახელი კი უცდომელად. ეს სახელი ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ცხვედაძესთან ერთად არის ამოკვეთილი უნივერსიტეტის მემორიალურ დაფაზე.

დიდ ინტერესს იჩენდა თურმე სიმონ კლდიაშვილი საქართველოს წარსულის შიმართ. ამის დასტურია ჯერ 1902 წელს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად საბჭრეთ საქართველოში მოგზაურობა, სადაც ჩაინი, ვაშლობი, ამპური, ური, ერუშეთი, ჯავახეთის წყაროსთავი, გუგუნა და კიდევ არაერთი ძეგლი აუზომია, ხოლო ბანათი იმდენად დაინტერესებულა, რომ მისი რეკონსტრუქციის პროექტიც შეუდგენია. სიმონ კლდიაშვილს სახით ექვთიმე თაყაიშვილს რომ ერთგული თანამგზავრი და თანამოაზრე გასჩენია, მოწმობს ისიც, რომ 1910 წელს რაჭა-ლეჩხუმში ისინი კვლავ ერთად არიან.

როგორც საბას, სიმონსაც ბევრი განუხორციელებელი ფიქრი დარჩა — გარდაიცვალა იგი 55 წლისა — 1920 წლის 26 მაისს და მისმა სიკვდილმა დაჩრდილა ეროვნული დამოუკიდებლობის საზეიმო-დღე... საზოგადოებამ მას დიდების პანთეონში მიუჩინა განსასვენებელი.

...სულ ახლახანს იქვე ახალი საფლავი გაიკრა, თუმცა არც ძე დარჩენია, არც ასული — მისი დის ნუცას შვილიშვილი დოდო ამაშიძე დაემკვიდრა თავისი საახელოვანი წინაპრის გვერდით — ფარვიდეთ მათ წმინდა გიორგის იმ ხატის მადლი, შარშან, 23 ნოემბერს გიორგობი დღეს რომ გადაასვენეს ქაშვეთიდან ახალგაზრდებმა უნივერსიტეტის წმინდა გიორგის სახელზე აკურთხა და მერმე გაუმქმებულ ეკლესიაში, რომლის გუმბათიც აგვირგვინებს შენობის სილუეტს.

ეს შენობა იყო ძე და ფული სიმონ კლდიაშვილისა და აკი მისი ანდერძის თანახმად და-ძმამ ანასტასიამ და ანდრიამ ყველაზე ძვირფასი, რაც გააჩნდა სიმონს— ფიგნფასაკავი უნივერსიტეტს შესწირეს, რაზეც მათ 1920 წლის 16 ივლისს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის სახელით უფრმეს სამადლობელს უგზავნიან რექტორი, ივანე ჯავახიშვილი და გამგეობის მდივანი დავით გოგიჩაიშვილი. იქვე კლდიაშვილთა ფონდის შექმნას აღუთქვამენ.

...ქართული ენციკლოპედიის მე-9 ტომში (გვ. 552-553) კლდიაშვილთა საგვარეულოს ოთხი თვალსაჩინო წარმომადგენლის ბიოგრაფიაა სურათებითურთ: დავით კლდიაშვილის, ეფრო კლდიაშვილის, სერგო კლდიაშვილისა და სიმონისა. დასანანია, რომ ნახსენები არ არის მისი ძმა საბა (ეს ქართველ ქიმიკოსს არ უნდა გამორჩენოდათ—), რომლის სახელმა და საგმირო საქმემ უცხოეთშიც კი სანთელ-საკმელივით გაუკვლია გზა 1905-06 წლებში ცნობილ ქართველ ხელოვანს ნინო ჩხეიძესა და მიზეილ ქორელს, რაც მათ მოგონებებში აისახა:

„პარიზში ცხოვრებიდან არ შემიძლია არ მოვიგონო სტუდენტი — შიდიკი ციკლისი რუსი ებრაელი, რომლისთვისაც ქართველი იყო წმინდათაწმინდა“, — იგონებს გამოჩენილი მსახიობი ნუცა ჩხეიძე და განაგრძობს:

„განა ჩვენ, ებრაელები, თაყვანს არ უნდა ვცემდეთ საბა კლდიაშვილის ეროვნების ხალხს? განა სიცოცხლე არ შემოგვრია ებრაელთა დარბევის დროს ოდესაში? და ის ციკლისი ნამდვილ ძმასავით მიელიდა, იმ ხანებში ნერვებით ვიყავი „დაავადებული, ექიმობა იყო საჭირო, მე კი, რა თქმა უნდა, არ მქონდა ამის საშუალება. და აი, დატრიალდა ჩემი ახალგაზრდა მეგობარი და გაიღო ჩემთვის კარი პროფესორ ნეგროპატალოგ ბრისოსი, იმ ბრისოსი, რომელთანაც მისცა ბეკრისათვის ოცნება წარმოადგენდა. პოინორარზეც ლაპარაკი ზედმეტი იყო. მოხუცი პროფესორი შემხვდა როგორც შვილს, დამამშვიდა და მითხრა, რომ ცხურდეთ და რა დროც უნდა იყოს ნუ. მომერიდებით, მობრძანდით, ყოველთვის მზად ვარ გემსახურო.

აგრეთვე ადვილად გაიღო ჩემთვის უნივერსიტეტის კარი, სადაც თვით ციკლისი სწავლობდა. მთელ თავისუფალ დროს ჩემთან ატარებდა, კლინიკაში თავს დამტრიალებდა როგორც „ძმა“ (ნინო ჩხეიძე, „მოგონებანი“, გამომცემლობა „ხელოვნება“ 1950 წ.).

„...ლამაზი, შნოიანი, იგი სულითაც ლამაზი და საყვარელი არსება იყო... მისი კეთილი არსება მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ კეთილი ეთესა თავის გარშემო“ (დ. კლდიაშვილი)... ეს ნაკლი დროულად უნდა გამოსწორდეს, სხვა თუ არაფერი, საბა ავტორია არაორგანული ქიმიის ქართული კურსისა „მოკლე მინერალური ქიმია“ (იბეჭდებოდა ჟურნალ „მოამბეში“ — 1903-05 წლებში) და ესაა პირველი ქართული პოპულარული ნაშრომი ქიმიაში.

...მას გასაოცრად უყვარდა თავისი სამშობლო სოფელი და სიმონეთლებსაც განსხვავებულად უყვარდათ. მისი ოჯახი, გრიგოლ კლდიაშვილის და ეფრო ყიფიანის ქალის ოჯახი...

ეს სიყვარული დღესაც ცოცხლობს...

ნანა ღვინეფაძე.

სურათებზე: ეფრო კლდიაშვილი და მისი ვაჟიშვილები: სიმონი, საბა, ანდრია, ლუარსაბი (ზის); სიმონ კლლიაშვილი. უნივერსიტეტის შენობის ძველი ხედი.

ეროვნული თავისუფლება

საქართველო იუწყება
1 მარტი

● ნიკარაგუა

ახალარჩეული პრეზიდენტის მიმართვა

მანაგუა. ნიკარაგუის დედაქალაქში გაიარცელეს ოპოზიციური ეროვნული კავშირის კომუნიკე ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის წარმომადგენლებთან ხელისუფლების გადაცემის საკითხზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

მოლაპარაკებაზე მხარეებს მეთაურობენ სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი უმბერტო ორტეგა და ოპოზიციური ეროვნული კავშირის საარჩევნო კამპანიის ხელმძღვანელი ანტონიო ლაკაიო.

ნიკარაგუის პრეზიდენტად არჩეულმა ვიოლეტა ბარიოს დე ჩამორომ მიმართა ერს. მან განაცხადა, რომ 27 თებერვალს უმაღლესმა საარჩევნო სამმართველოებ ოფიციალურად აუწყა მას ოპოზიციური ეროვნული კავშირის გამარჯვება არჩევნებში.

